ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №313689

ნომერი: AR167365

თარიღი : 27.07.2012

გაცემის თარიღი : 17.08.2012

გაცნობის თარიღი : 29.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ივანე ცაგურია პ/ნ 01008014283
- თბილისი, წყნეთის ქუჩა, კორპუსი 4, ბინა 25

ორგანიზაცია:
- შპს სანაპირო 2004 კოდი: 202218322

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 29 მაისის №185962 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 27 ივლისს №AR169552 განცხადებით მომართა შპს "სანაპირო 2004"–ის დირექტორმა ივანე ცაგურიამ და მოითხოვა სამსახურის 2012 წლის 29 მაისის №185962 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29 მაისის №185962 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ. №29-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.13.05.004.057) სავაჭრო ცენტრის (ბლოკი №2) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 20 მაისიდან 2012 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.
ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მე–4 პუნქტით განმცხადებელს დაევალა მოცემული ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან (ძალაში შესვლიდან) 2 (ორი) თვის ვადაში უზრუნველეყო სამსახურის 23.04.2010 წ №01/769 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირება მისაკუთვნებელი ნაკვეთების საზღვრებთან არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით.
განმცხადებელი ითხოვს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირების სამსახურის 2012 წლის 29 მაისის №185962 ბრძანების მე–4 პუნქტით გათვალისწინებული ვადა გაგრძელდეს 2012 წლის 20 სექტემბრამდე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან/და დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, 51-ე, 52-ე, 63-ე, 95-ე, 96-ე და მე-100 მუხლების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შევიდეს ცვლილება სამსახურის 2012 წლის 29 მაისის №185962 ბრძანებაში, კერძოდ: მისი მე–4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "4. დაევალოს განმცხადებელს, წინამდებარე ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან (ძალაში შესვლიდან) 2012 წლის 20 სექტემბრამდე უზრუნველყოს სამსახურის 23.04.2010 წ №01/769 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირება მისაკუთვნებელი ნაკვეთების საზღვრებთან არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ან/და კორექტირებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, ბრძანება ცნობილ იქნას ძალადაკარგულად”;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას სამსახურის 2012 წლის 29 მაისის №185962 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.